11/02/2021

საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა მიმდინარეობს

საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა მიმდინარეობს. რა საკითხთან მიმართებით იმსჯელებენ მღვდელმთავრები დღევანდელ სხდომაზე ზუსტად უცნობია, თუმცა სხვადასხვა საკითხთან ერთად, შესაძლოა, იმსჯელონ კორონავირუსის ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

სხდომას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ხელმძღვანელობს. სხდომის მდივანი კი გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავაა.

ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი მეუფე ნიკოლოზი იმედოვნებს, რომ “სინოდი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ვაქცინაცია, ან ვაქცინაციისგან თავის შეკავება არ შეიძლება იყოს სავალდებულო”.

მისივე განმარტებით, ვინც კორონავირუსის ვაქცინაციას გაიკეთებს, მას “ღმერთის და ხალხის მტრად” არ გამოაცხადებს.

ჰოლანდია-დანიის ეპისკოპოსის, მეუფე დოსითეოზის განცხადებით, ვაქცინაციასთან დაკავშირებით პირადი მოსაზრება გააჩნია. მისი თქმით, იზიარებს ჯანმო-ს იმ პოზიციას, რომ ვაქცინაცია ნებაყოფლობითია.

გარდა ამისა, იმსჯელებენ, თუ არა სინოდზე დავით გარეჯის საკითხთან მიმართებით, მღვდელმთავრები ამბობენ, რომ ამაზე ინფორმაციას არ ფლობენ.

https://video.ambebi.ge/files-6/2021/02-11//bfsg-282757.mp4

— ipn.ge